გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

შპს ,,შავი ოქროს"(ს/კ 430035071) დირექტორის
ბესიკ ჯაოშვილის(პ/ნ 18001033755)
ტელ: 598 475050. Email: shavi.oqro.35071@gmail.com

სკრინინგის განცხადება

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ყვირილაზე მოხდა წყალდიდობა. 2021 წლის 26 მარტს გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტებმა ადგილზე შეაფასეს არსებული მდგომარეობა და დასკვნის სახით გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული დასკვნისა და რეკომენდაციების საფუძველზე ჩვენს მიერ მომზადებული **,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ პირველი სვირის მიმდებარედ მდინარე ყვირილას კალაპოტის დაღრმავება-გასწორხაზოვნების (ნაპირდაცვითი) პროექტის სკრინინგის ანგარიში"** განსახილველად და შემდგომი მოქმედებებისათვის შეტანილ იქნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგზავნილი თქვენი N5904/01(14.06.2021) წერილით ცნობილი გახდა, რომ დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადების უშუალო წარმდგენი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ მომზადებულ პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოგვაწოდოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც განხორციელდება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.

სკრინინგის პროცედურის გასავლელად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოგიდგენთ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ პირველი სვირის მიმდებარედ მდინარე ყვირილას კალაპოტის დაღრმავება-გასწორხაზოვნების (ნაპირდაცვითი) პროექტის სკრინინგის ანგარიში - 58 გვ;
2. გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის დასკვნა - 7 გვ;
3. მდ. ყვირილას ტოპოგრაფიული რუკა - 1 გვ;
4. DWG და Shp ფაილები;
5. ფოტომასალა.

პატივისცემით,

შპს ,,შავი ოქრო"ს დირექტორი
ბესიკ ჯაოშვილი

Besik Jaoshvili Digitally signed by Besik Jaoshvili
Date: 2021.06.30 13:49:52 +04'00'

№ 11543
"30" 06 2021
02